

# ქართული ქრონიკა

30 ნომბერი,  
1989 წელი.  
№-55

## გოიკოტი საბჭოთა პრესა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოცემის 1988 წლის 10 მაისიდან

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკა

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა, მიუხედავად ყველაფრისა, სწორი გზით მიდის. ეს განცხადება არც ქართული "ყოყორობის" ნაყოფია, არც გადამტეხილი დვიდალ-აჯერებისა და არც პოლიტიკური უმწიფრობის თუ გულუბრყვილობის.

... არის შეცდომები, გათიშულობა, ურთიერთქიშპი და ერთმანეთის ჯიბრზე პოლიტიკური საკმინარობის სპორტულ შეჯიბრებად გადაქცევის ცდები, არის ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ბევრი ადამიანი, ასევე, განდიდების მანიით შეპყრობილი ბევრი უნიჭოვ გვხვდება ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციაში... და არის დალღაც, საქმიდან გასვლა, იშვიათად - ლაღატიც.

ბუნებრივია, ეროვნულ მოძრაობას ბევრი ოპონენტი ჰყავს: ოციციობი, საკუთარ ნაჭუჭში შეკეტილი ობივაციები, მატერიალურად უზრუნველყოფილი კაცი, გამაძლარი და მიონტელიგენტო კაცუნა, რომელიც "ყველაფერზე მაღლა დადგომას" აპირებს...

ეროვნული მოძრაობა კი დგას, როგორც ამაყი კლდე, რომელსაც ურწმუნოებისა და სულმომოკლბის ტალღები მიხეხებებიან და შემდეგ უკანვე მიიქცევიან ხოლმე ძღუელნი.

იყო ამბავები და პოეტური ნოემბერი, წინდაწინვე განწირული 25 თებერვალი, პეროიკული აპრილი... ეროვნული მოძრაობა იხვეწებოდა, გადავიწყებულს იხსენებდა, ახალ გზებსა და გამოსატვის ახალ ფორმებს ეძიებდა, ახალ ხალხს აბამდა ერის განთავისუფლების საქმეში და ერის იკვრებოდა, მთლიანდებოდა... ამწლეულების გზა გავლილია რამდენიმე თვეში.

საოცარი ფენომენია ქართული სული, მის წახდენასა და დაცემას ათწლეულები სჭირდება, აღდგენასა და ამბავებს კი თვეები ჰყოფნის.

ზოგი რამ ვიცით, ზოგიც არა, მაგრამ ის, რომ ზოგი რამ არ ვიცით, არ არის იმდენად საშიში, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ეროვნული სიმბრძნე ინტუიციის სახით მოგვევლინება დღეს და გვაკარნახობს, თუ რა არის სწორი, რისი გაკეთება შეიძლება და რაზე უნდა ვთქვათ უარი, რისი გაკეთება დაუშვებელი.

საქართველოში მოხდა (და ალბათ კიდევ მოხდება) ეთნიკურ ნიადაგზე შეჯახებანი, მაგრამ ეთნოკრიზისი,

### ვიღობი ჭანჭუკია

## რას უპირებს ქრები საქართველოს

"მეორე ყარაბალი" ჩვენში შეუძლებელია.

ზოგიერთი "ინტელიგენტული" კეთილი შური იყო გამსვალული ბაღტი-სპირეთის მიმართ, მათი ბრძოლის გზა საუკეთესოდ მიაჩნდა, მაგრამ ფსევდოპარლამენტარიზმმა და პოპულისტურმა "პოლიტიკამ" ბაღტი-სპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობანი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია და ყველსთვის ნათელი გახდა - ჩვენი ეროვნული მოძრაობა აქაც სწორი აღმოჩნდა, აქცია რა ზურგი "სახალხო ფრონტებს" და "მესამე გზით", ყველაზე უმძიმესი, მაგრამ ფაქტიურად ერთადერთი გზით განაგრძო სიარული.\*

აი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ძირითადი ნიშნები:

1. უარყოფა ყოველივე საბჭოური-სა;
2. შენიღბვაზე უარის თქმა და უკიდურესი რადიკალიზმი;
3. იმპერიის ტრანსფორმაციის ყოველგვარი შესაძლებლობების გამორიცხვა;
4. სტრატეგიული მიზნის, მისი რეალური განხორციელების შესაძლებლობის შენარჩუნება შეგნებულად და შევიწერილი ტაქტიკური შეცდომების ფასად;
5. ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება პროგრამა-მინიმუმის განხორციელების მიზნით, არამედ ახალი, დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის დაწყება პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის;
6. უარყოფა სრული გაერთიანების ილუზორული მოთხოვნისა და ეროვნული ჭეშმარიტად ჯანსაღი ძალების დაპირისპირება ანტიეროვნულ, ანტიდემოკრატიულ თუ ფსევდოლიბერალურ, შემ-

რიგებულ ძალებთან;

7. პოლიტიკის უფრო მაღლა დაყენება თანდათანობით, ვიდრე ნაციონალიზმისა (ამ სიტყვის არასაკუთესო, ობივაციური გაგებით);

8. ეროვნული ხსნისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განუყოფლობა, რამეთუ ჩვენი ხსნა დამოუკიდებლობაში (დამოუკიდებლობა მოგვიტანს ხსნასაც და აღორძინებასაც და არა ისე, რომ "ჯერ უნდა გადავრჩეთ, ავღორძინდეთ (?), რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება - გავაკეთოთ, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა...");

9. პოლიტიკური რეალიზმი, რაც ყველაფერ სხვასთან ერთად გამოიხატება იმაშიც, რომ შეგნებულ გავტეს - საქართველოს გამოყოფა არარეალურია, დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმპერიის დაშლის შემდგომ.

ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობის მიზანია იმპერიის დაშლის პროცესებისათვის ხელის შეწყობა და ამ გზით თავისუფლების მიღწევა და არა ცალკეული "რესპუბლიკის" იმპერიისაგან "გამოყოფა" - ჩვენ ეს არარეალურად მიგვაჩნია.

ჩვენ მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით და ერთდროულად მივაღწევთ დამოუკიდებლობას;

10. მოძრაობის უაღრესად მშვიდობიანი ბუნება, დემოკრატიული ხასიათი. ჩვენი დევიზია - "ერი და დემოკრატია";

11. "ზემოდან" წამოსული ყოველგვარი "სასიკეთო" რეფორმისადმი სკეპტიკური, უფრო მეტიც, მტრული დამოკიდებულება, რადგან "რეფორმა" ანელებს იმპერიის რღვევის პროცესს, ქმნის ილუზიებს, რასაც საბოლოო ჯამში ტოტალიტარიზმის რეანიმაცია მოჰყვება შედეგად (ნეპი -

1987, "გარდაქმნა" - 19..?);

12. საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური მისიის აღიარება, იმის განცნობიერება, რომ ჩვენ მიმე ჯვარი გვარგუნა უფალმა, მაგრამ ეს ჩვენი ჯვარია.

... და ბოლოს, გადარჩენის, დამოუკიდებლობის, ეროვნული აღორძინების ფატალური რწმენა!

ხდება ეროვნული ჯგუფების წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციებად გადაქცევა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა სსრკ-ში... მაგრამ კრემლიც არ თვლემს ყურადღებით აღევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ჯერ ერთი, პოლონეთი და საქართველო ტრადიციულად ყველაზე ცხელი წერტილები იყო რუსეთის იმპერიისა და მეორეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ეროვნული მოძრაობა სწორი გზით მიდის, ბრძოლის ფორმებს ხვეწს, რაც, ჩვენდა უნებურად, კრემლის ტაქტიკის სრულყოფასაც იწვევს და მტერი საქართველოს წინააღმდეგ უაღრესად დახლართულ ქსელებს აბამს, ჩვენს ეროვნულ მოძრაობას განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდება.

კრემლმა, რადგან საბოლოოდ არ განაცხადა უარი ჩვენს ეთნოკრიზისში ჩაბრუნებას თუ "სახალხო ფრონტების" მოდელის საქართველოში დანერგვაზე, შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას (და არის სიმბტომები, რომ ეს ნაბიჯები უკვე იღებება):

1. უნდა მოძებნოს ეროვნულ მოძრაობაში ისეთი ლიდერი (თუ ლიდრები), რომელიც თავის საქმიანობაში გააერთიანებს იმ ნიშან-თვისებებს, რომელიც დამახასიათებელია, ვთქვათ, ყარაბალის კომიტეტისა და სახალხო ფრონტების საქმიანობისათვის. ობივაციულისთვის გასაგები ვიწრონაციონალისტური (ყარაბალის კომიტეტი) და პოპულისტური (სახალხო ფრონტი) პოლიტიკანობის შედეგად ეს პიროვნება (ან პირები) უზარმაზარ ავტორიტეტს მოიხვეჭს, რაც უკვე ხალხის ბრბოდ ქვეყანაში, მის ღებორგანიზებულიობაზე იმეტყველებს და, რაც მთავარია (თუმცა აქ თითქმის ყველაფერი მთავარია), ის მოდელი, რომელიც ე. წ. რესპუბლიკებში წარმატებით დაინერგა, შენიღბული სახით, ფსევდორადიკალური დემაგოგიით ზურგამაგრებული, უკვე ჩვენშიაც იარსებებს, ხოლო ამის ამოცნობა ხალხის დიდი, აპოლიტიკური მასისათვის უაღრესად ძნელი საქმე იქნება.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ საქართველოში მეორე "ყარაბალი" თითქმის შეუძლებელია და "სახალხო ფრონტმა" "დაავიანა" ორგანიზაციული გაფორმება, როგორ მოხდება ლიდრის ან ლიდრთა ჯგუფის მიერ ამ გაბანკოტებული იდეების

\* აღსანიშნავია, რომ უკიდურესი გაკვირების ფაზს, შესაძლოა, საბჭოთა იმპერიამ "დამოს" ბაღტი-სპირეთი და კიდევ სამი "ფინეთი" გაიჩინოს მეზობლად. ბაღტი-სპირეთის ოკუპაცია სტალინის დროს მოხდა და ბოლშევიზმის ამ ცოდვასაც სტალინს მიაწერენ, დასავლეთის სამყაროს გულს (და ფულს, რაც მთავარია) მოიგებენ, იმპერიაში დარჩენილ ერებს ჩმის ილუზიას შეუქმნიან, რომ "ბაღტი-სპირეთი გზით" შესაძლებელია დამოუკიდებლობის მოპოვება და ობივაციური გადაყლაპვას და სატყუარას, ხოლო სულის მოთქმის შემდეგ "რესპუბლიკებში" მასობრივ წმენდას ჩაატარებენ, რადგან უკვე დასავლეთის ლემილის იმედოვ ექნება... ასე რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაღტი-სპირეთის ქვეყნები დამოუკიდებლობას მიიღებენ (?), ჩვენთვის ე. წ. ბაღტი-სპირეთი გზა მაინც მიუღებელი დარჩება, რადგან საქართველო ჩვენი ეს იქნება უმოკლესი გზა დალუპვისაკენ (ავტორის შენიშვნა).





# 1988 წლის ნოემბერი

ელს ავაშენებთ მომავალში...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აუცილებლად უნდა გახდეს ერის ინტელექტუალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და მომავალში სწორედ ეს იქნება ჩვენი სტაბილურობის გარანტი და არა მხოლოდ ვაჟკაცობა და მიგობრული ურთიერთკავშირი, რის საფუძველზეც დღეს ვარსებობთ.

მხოლოდ "ეროვნული" ტიპის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იქნება ის ძალა, რომელიც შეძლებს ეროვნული მოძრაობის სწორი მიმართულებით წაყვანას და ნებისმიერი კრიზისიდან გამოსვლას.

თუ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ვერ შეძლო ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტა, მაშინ შთამომავლობა მას დასწყვილის და შეარჩენებს, რადგან გვესმოდა და გლუმდით, ვხედავდით და სხვას არ ვაჩვენებდით, ერს უფსკრული საკენ უბიძგებდნენ და ჩვენ არ ვმოქმედებდით, არ ვიბრძოდით... ხოლო თუ ჩვენ შევძელით ყველა ბარიერის გაღება, ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა და ამ კრიზისული მდგომარეობიდან ეროვნული მოძრაობის გამოყვანა და მისი სწორი გზაზე დაყენება, მაშინ მაღლიერი შთამომავლობა საკუთარ გულში ხელშეკმნიელ ბეგლს დაგვიდგამს, ხოლო სხვა ბეგლი ჩვენ არ გვესურს, სხვა ბეგლისთვის ჩვენ არ ვიბრძვით.

1 ოქტომბერი, 1989 წ.



## ერის კვირა

### 22 ნოემბერი

22 ნოემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამოცდარმა აქტივისტმა მთავრობის სახლის კიბეებზე გამოაცხადა შიმშილობა 29 ნოემბრამდე შემდეგი მოთხოვნებით:

1. სსრკ კონსტიტუციის დამატებების პროექტის გაუქმება;
2. ეროვნული კონსტიტუციის მიღება;
3. მიტინგების, დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობების ამკრძალავი დადგენილების გაუქმება.

მარიონეტული მთავრობის სახლთან აღმართა საქართველოს ეროვნული სამფროვანი ღროშები, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სხვა გმირთა პორტრეტები, ასევე, პლაკატები: "გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!", "გვმობთ საბჭოთა კონსტიტუციას!", "გაუმარჯოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას!" და ა.შ. მალე დემონსტრანტებს ბევრი თანამგზავნი გამოუჩნდა და საღამოსათვის მოშიმშილეთა რიცხვმა 119-ს მიაღწია, მათ გარშემო კი ხუთი ათასამდე პატრიოტი ტრიალებდა. მოშიმშილეთს ეკლესიამ სანთლები გამოუგზავნა. საქართველოს გიორგობა უფენდებოდა.

### 23 ნოემბერი - ბორობა

დილით დაიწყო მიტინგი, რომელსაც ორასი ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მიტინგი მიმდინარეობდა სესიის პარალელურად. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ნოდარ ნათაძე, გიორგი ჯანტურია, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვა.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ სესიის გადაწყვეტილება მიიჩნია ქართველი ერისათვის არადაამაკმაყოფილებლად და ხალხს მოუწოდა აქციის გაგრძელებისაკენ. ელპ-ს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს - აქცია შეწყდება მხოლოდ 29 ნოემბერს. (უარის შემთხვევაში შიმშილობა და მთავრობის სახლთან მიმდინარე აქცია მაინც შეწყდება, რადგან 29-იდან დაიწყებოდა ეროვნული დაუმორჩილებლობა და მშვიდობიანი პროტესტის სხვა აქტიური ფორმებით ბრძოლა მიზნის მიღწევისათვის).

### 24 ნოემბერი

დილისათვის მოშიმშილეთა რიცხვმა ხუთასს მიაღწია. აქციას შეუერთდნენ რუსთაველი პატრიოტები, რომლებიც თბილისში ფეხით ჩამოვიდნენ.

### 25 ნოემბერი

მოშიმშილეთა რიცხვმა 600-ს მიაღწია. აქციას შეუერთდნენ ხაშურის, ყაზბეგის, სვანეთის პატრიოტები და რომის სახლის კიბეები უკვე ველარ იტევს ამდენ მოშიმშილეს. საღამოს 6-ს ახალი მიტინგი.

### 26 ნოემბერი

11 საათსა და 30 წუთზე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გამართა მიტინგი, რომელიც გახსნა გიორგი ჯანტურია. სიტყვებით გამოვიდნენ: ირინა სარიშვილი, ირაკლი წერეთელი, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ელპ-ს დამფუძნებელ ყრილობაზე სტუმრად ჩამოსული ესტონელი მეგობრები - ლაგლე პარეკი, მატე კიორენდი, კალეუ მიატიკი (ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან). ელპ-ს აქტივისტმა კარლო ბარდაველიძემ წაიკითხა ელპ-ს I კონგრესის საბეჭდო გამოგზავნილი მისასალმებელი დეპეშები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

მოშიმშილეთს სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისელმა ქურთებმა. მიტინგის დასასრულს მოეწყო მსვლელობა მთელს ქალაქში. მოშიმშილეთა რიცხვმა 700-ს მი აღწია.

### 27 ნოემბერი

დილით ორმეტ საათზე მდგდებდა როსტომ ლორთქიფანიძემ მოშიმშილეთი აზი-არა. ცოტა მოგვიანებით აქციას შეუერთდა ებისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე. დღის მეორე ნახევარში დაიწვა გაზეთი "კომუნისტი", რომელმაც მორიგი პასკვილი გამოაქვეყნა მოშიმშილეთა შესახებ. ფერფლი გაეგზავნა გაზეთის რედაქციას.

მოშიმშილეთა რიცხვმა 800 კაცს მიაღწია. აქციას შეუერთდა მოლდაველ პატრიოტთა ჯგუფი საკუთარი ეროვნული ღროშით.

თბილისელმა სომხებმა მოშიმშილეთს სოლიდარობა გამოუცხადეს. ღამით, უცნობი პირის მიერ, მთავრობის სახლის შენობიდან ჩამოგდებულ იქნა სსსრ-ს ღროშა.

### 28 ნოემბერი

ეს დღე იყო ყველაზე დამაბული, კრიტიკული და აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი.

დღე დაიწყო ახალი პროვოკაციით - ვილაცამ მოშიმშილეთს წყლის ნაცვლად ბოთლით ბენზინი შეუგზავნა.

ღამით, სიონის მახლობლად გამოჩნდა 23 ტანკი, რომელთაც თბილისელთა საკუთარი ავტომობილებით გზა გადაუღობეს.

მთელი ღამის განმავლობაში აქციას უერთდებოდნენ საინგილოდან, მესხეთიდან, რაჭიდან, ქუთაისიდან, გორიდან...

ე. წ. ხელისუფლება ცდილობდა პანიკის დათესვას, ბინძური მიზნებისათვის ინტელიგენციის გამოყენებას, მაგრამ მოშიმშილეთმა შეძლეს სიმშვიდის შენარჩუნება და აქციის ბოლომდე გაგრძელება.

### 29 ნოემბერი

დილის 9 საათზე შიმშილობა შეწყდა. ამ დღისათვის მოშიმშილეთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა, ხოლო ჰოსპიტალიზირებულთა - ასს.

10 საათსა და 30 წუთზე დაიწყო მიტინგი, რომელსაც ასევე ათასობით ადამიანი ესწრებოდა. სიტყვებით გამოვიდნენ: გიორგი ჯანტურია, ირინა სარიშვილი, გორა აბულაძე, მამუკა გიორგაძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ებისკოპოსი ქრისტეფორე... მიტინგის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა ცნობა კრემლის უკან დახვევის შესახებ. მიტინგი დასრულდა 14 საათზე და დაიწყო მსვლელობა ქალაქის ქუჩებში.

29 ნოემბერი გამოცხადებულია ეროვნულ დღესასწაულად.

